მარიამ ჯოჯუა

07/04/2004

სკოლა: კავკასიის სამართლის სკოლა

პროგრამა: სამართალი

კურსი: III

CU ელ. ფოსტა: m_jojua@cu.edu.ge

ჩემს შესახებ:

მე ვარ მარიამ ჯოჯუა. სამართლის ფაკულტეტზე ჩავაბარე 2023 წელს სრული, 100%-იანი დაფინანსებით. ჩემთვის პირველი საპასუხისმგებლო პოზიცია იყო თბილისის N55 საჯარო სკოლის თვითმმართველობის წევრობა, რაც პირველი ნაბიჯი იყო ლიდერული უნარების განვითარების გზაზე. სამართლის სფეროში ჩემი ინტერესები მრავალმხრივია. განსაკუთრებით მიზიდავს სამედიცინო სამართალი - სფერო, რომელიც აერთიანებს ადამიანზე ზრუნვას, ეთიკურ პასუხისმგებლობასა და სამართლებრივ რეგულაციებს. გავლილი მაქვს სერტიფიცირებული კურსი "სამედიცინო ელემენტები სამართალში". კარიერის განვითარებას სწორედ ამ მიმართულებით ვგეგმავ. ამჟამინდელი სამუშაო გამოცდილება სამართლისგან განსხვავებულ სფეროს - ადმინისტრაციასა და კოორდინაციას ეხება. კომპანია "ფლომასტერში" ეს გზა ჩემთვის ძალიან ღირებული აღმოჩნდა. ჩემი საქმიანობა მოიცავს ღონისძიებების ორგანიზებას, პროცესების კოორდინირებას და მონაწილეებთან კომუნიკაციას.

საერთაშორისო სივრცეც ჩემთვის ძალიან ბუნებრივი და ნაცნობია. მყავს არაერთი უცხოელი მეგობარი, შესაბამისად სხვადასხვა კულტურის ადამიანებთან ურთიერთობა ჩემთვის კომფორტულია. ბუნებით ძალიან ცნობისმოყვარე ადამიანი ვარ. თავისუფალ დროს სტრატეგიული თამაშებით ვერთობი, ქსოვა ჩემთვის მედიტაციაა, ცხოველებთან ურთიერთობა კი - უდიდესი ბედნიერების წყარო. ჩემი მიზანია უნივერსიტეტში გავხდე სტუდენტებისთვის გულწრფელი მხარდამჭერი - მეგობრული და ყურადღებიანი ელჩი, რომელიც მზად არის იპოვოს საერთო ენა ყველასთან.

კავკასიის უნივერსიტეტის ელჩი
CAUCASUS UNIVERSITY
AMBASSADOR